

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ხელნაწერის უფლებით

ზაზა ბერიძე

თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების
ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში

სპეციალობა - ისტორია

ა ნ ო ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ბათუმი

2020

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ემზარ მაკარაძე - ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

უცხოელი შემფასებელი:

შაჰინ მუსტაფაევი - ისტორიის დოქტორი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი.

შემფასებლები:

1. **სულხან კუპრაშვილი** - ისტორიის დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
2. **ოთარ გოგოლიშვილი** - ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
3. **მადონა გოგიტიძე** - ისტორიის აკადემიური დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2020 წლის 24 იანვარს, პარასკევს, 13:00 საათზე, 32-ე აუდიტორიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის ანოტაციისა - ამავე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.bsu.edu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნ. ფარტენაძე

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა: თურქეთის საგარეო პოლიტიკის შესწავლა საქართველოს და სამხრეთ კავკასიის უახლესი ისტორიის უაღრესად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც მსოფლიოში „ცივი ომის“ დასრულებამ სათავე დაუდო ახალ მოვლენებს და პირველ რიგში სხვადასხვა სამხედრო - პოლიტიკურ კავშირებში გაერთიანებული სახელმწიფოების გადაჯგუფების პროცესს, ახალი სუვერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას, რამაც კიდევ ერთხელ შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური რუკა, გაჩნდა ახალი პრობლემები, ახალი მიდგომები და შესაბამისად, ბევრი ადრინდელი პრობლემის ახლებური წარმოჩენის და დანახვის ობიექტური აუცილებლობა.

თემის აქტუალობას უფრო მეტად ზრდის რეგიონში დღეს არსებული მდგომარეობა (ყარაბაღის პრობლემა, აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის პრობლემა, სომხეთსა და თურქეთს შორის არსებული დაძაბულობა, რუსეთის ფაქტორი კავკასიაში და სხვ.). ამ ფონზე მნიშვნელოვანია თურქეთის პოლიტიკური კურსი და მისი დამოკიდებულება სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი, რომელმაც XX საუკუნის 90-იანი წლებში ერთ-ერთმა პირველმა აღიარა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა; ის, თუ როგორ ცდილობს თურქეთი, აღნიშნულ რეგიონში ლიდერის როლის მოპოვებას, რაც გამოიხატება ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ თუ რელიგიურ ურთიერთობებში.

სადოქტორო დისერტაციაში გაშუქებულია თურქეთის ისტორიის XX საუკუნის 90-იანი წლების ერთ-ერთი უაღრესად აქტუალური საკითხი - „თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში“.

აღნიშნული საკითხის კვლევას, ქართველმა აღმოსავლეთმცოდნეებმა მიუძღვნეს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, სადაც ცალ-ცალკე განხილულია თურქეთის ურთიერთობა სომხეთთან, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან. ერთიან კონტექსტში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან თურქეთის ურთიერთობის კვლევა არ არის წარმოდგენილი, სადაც მთლიანობაში განხილული იქნებოდა „თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან XX საუკუნის 90-იან წლებში“.

მათი ერთობლივი განხილვა კი მოგვცემს საშუალებას განვაზოგადოთ პრობლემა და გავაკეთოთ უფრო სრულყოფილი და ამომწურავი დასკვნები.

სადისერტაციო ნაშრომში, ჩვენ შევვხებით როგორც თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ურთიერთობებს XX საუკუნის 90-იან წლებში, ასევე განვიხილეთ სამხრეთ კავკასია, როგორც ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი და შევაფასეთ თურქეთის პოლიტიკური როლი მის განვითარებასა და უსაფრთხოებაში, რომელიც ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. მისი კვლევა კი უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს აღნიშნული საკითხის შესწავლაში.

სადისერტაციო ნაშრომში, შევეცადეთ სიღრმისეულად შეგვესწავლა ის პოლიტიკური რეალობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ პერიოდისათვის თურქეთსა და ახლად შექმნილ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. აქვე საფუძვლიანად იქნება განხილული თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები და საქართველოს როლი თურქეთის სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაში.

კვლევის მიზნები და ამოცანები: ნაშრომის მიზანია თურქეთის სამხრეთ კავკასიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების განსაზღვრა და მათი გაანალიზება თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, ისტორიული ლიტერატურისა და წყაროების დღემდე უცნობი მასალების ობიექტური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავხსნათ თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში.

ზემოთ აღნიშნული პერიოდი მნიშვნელოვანია თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ურთიერთობაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახლდათ, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ლიდერის როლის მოპოვება და თავისი გავლენის გაზრდა. შესაბამისად ჩვენს მიზანს წარმოადგენს თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობების პრობლემების განხილვა, გატარებული ღონისძიებების და არსებული გამოწვევების შესწავლა.

ვიდრე უშუალოდ აღნიშნულ საკითხებს შევეხებით, ნაწილობრივ მიმოვიხილავთ იმ პოლიტიკურ პროცესებს, რამაც დააჩქარა თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის წარმოშობა:

განვიხილეთ თურქეთის სტრატეგიულ მიზნები კავკასიაში და მისი სწრაფვა რეგიონის ლიდერობისაკენ;

ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით განვსაზღვრეთ სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური გარემო და ამ გარემოში რეგიონალური სახელმწიფოების ადგილი და როლი;

XX საუკუნის 90-იანი წლებში მომხდარი ფაქტებისა და რეაქციების გათვალისწინებით მიმოვიხილეთ სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკის მახასიათებლები და რეგიონალურ კონტექსტში მსოფლიო გეოპოლიტიკური მოთამაშეებისა და რეგიონის ლიდერი სახელმწიფოების ურთიერთქმედებები;

თურქეთის რესპუბლიკის სამხრეთ კავკასიური პოლიტიკური ვექტორის განხილვითა და ანალიზით გამოვავლინეთ ის მოსალოდნელი საფრთხეები და გამოწვევები, რაც ანკარას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობაში შეიძლება შეექმნას და ბოლოს, განვსაზღვრეთ თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკურ ვექტორში საქართველოს როლი და დანიშნულება.

კვლევის ობიექტია თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობათა პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ვექტორი.

კვლევის საგანია თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკური ვექტორები XX საუკუნის 90-იან წლებში და ამ პოლიტიკურ გარემოში სამხრეთ კავკასიის საგარეო პოლიტიკის მიმართულების როლი.

კვლევის მეთოდები: დისერტაცია ეხება თურქეთის ურთიერთობას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან XX საუკუნის 90-იან წლებში და თურქეთის გავლენის ზრდას რეგიონში პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური მიმართულებით. ეს კი იმდენად ფართო და ამავდროულად, რთული საკითხია, რომ უდაოდ მოითხოვს სერიოზულ შესწავლას რამდენიმე სამეცნიერო დისციპლინის მხრიდან, როგორებიცაა: პოლიტოლოგია, კონფლიქტოლოგია, საერთაშო-

რისო ურთიერთობები, ისტორია, სოციოლოგია, საერთაშორისო სამართალი და ა. შ. ნაშრომი ემყარება კვლევის შერეულ (როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ) მეთოდებს: გარდა ლიტერატურის ანალიზისა, გამოყენებულია კვლევის სტატისტიკური, შედარებითი და ისტორიული ანალიზის პროგნოზირების მეთოდები.

საერთაშორისო ურთიერთობების თავისებურებათა ანალიზი, სამხრეთ კავკასიის სტაბილურობაზე მათი გავლენის შეფასება, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სამივე რესპუბლიკაში (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების ლოგიკა თურქეთთან მიმართებაში; განვახორციელოთ ერთგვარი შედარებები მთელი რეგიონის ჭრილში და გამოვიყენოთ კომპარატიული ანალიზის მეთოდი.

მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა: „თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში“ ჩვენს მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი და გაანალიზებული. გავაკეთეთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედარებითი ანალიზი თურქეთის, რეგიონში ერთ-ერთ წამყვან ქვეყანასთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე შემდეგში მდგომარეობს:

1. კომპლექსურად იქნა შესწავლილი და გაანალიზებული თურქეთის საგარეო პოლიტიკური ვექტორი სამხრეთ კავკასიის ახლად წარმოქმნილ რესპუბლიკებთან.
2. კრიტიკული გეოპოლიტიკური მსჯელობის მეთოდით მოხდა თურქეთის რესპუბლიკის სამხრეთ კავკასიური პოლიტიკური ვექტორის კომპლექსური ანალიზი, რაც შესაძლებელს ხდის თურქეთის საგარეო პოლიტიკის ახლო და საშუალო ვადიანი პერსპექტივების პროგნოზირებას;
3. მოხდა თურქეთის ძირითად გეოპოლიტიკურ მიმართულებათა იერარქიის განსაზღვრა და გამოიკვეთა, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში სამხრეთ კავკასიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს;
4. განისაზღვრა, რომ თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკური მიზნის, ცენტრალური აზიის ენერჯო რესურსების კონტროლის, მისაღწევად სამხრეთ კავკასიამ საკვანძო მნიშვნელობა შეიძინა.

ამდენად მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულებაც, რომელიც დახმარებას გაუწევს აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ ისტორიკოსებს, აღმოსავლეთმცოდნეებს და სამეცნიერო წრეების სხვა წარმომადგენლებს.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო: ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო საკმაოდ ფართოა. თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის აღსაწერად ძირითადად გამოყენებულია ისტორიული ქრონოლოგია, რაც შესაძლებელს ხდის უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ და გავიგოთ სახელმწიფოთა შორის არსებული კავშირები და გამოწვევები. თურქეთის საგარეო პოლიტიკის, სამხრეთ კავკასიური მიმართულების, უკეთ გასაგებად, ასევე, მოკლედ მიმოხილულია ოსმალეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ისტორია. თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ქრონოლოგია ძირითადად მოიცავს 1990-2000 წლამდე თურქეთის მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ კულტურულ და ეკონომიკურ ნაბიჯებს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართებით.

ნაშრომის აპრობაცია : სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტში, სადაც შედგა მისი განხილვა - აპრობაცია 2019 წლის 19 ივლისს (ოქმი №10). საკვალიფიკაციო ნაშრომის ავტორს რეკომენდაცია მიეცა სამიხრეტი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ნაშრომის ცალკეული ნაწილი გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებსა და შრომათა კრებულებში, წაკითხულია საერთაშორისო კონფერენციებზე.

დისერტაციის სტრუქტურა და შინაარსი: სადისერტაციო ნაშრომი მეცნიერული თვალსაზრისით ღირებულია. მასში გაშუქებულია თურქეთის ისტორიის XX საუკუნის 90-იანი წლების ერთ-ერთი უაღრესად აქტუალური საკითხი - თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში.

ნაშრომი შესავლისა და დასკვნითი ნაწილის გარდა, ექვსი თავის, თორმეტი ქვეთავისა და ბიბლიოგრაფიისაგან შედგება. მთლიანობაში 123 გვერდია. კვლევის დროს გამოყენებული იქნა 20-მდე წყარო და 70-მდე სამეცნიერო (20 ვებგვერდი) ნაშრომი.

ნაშრომის შინაარსი

თავი I . თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების

ურთიერთობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

პირველ თავში, რომელიც ერთი პარაგრაფისაგან შედგება განხილულია მოვლენები, ერთგვარი წინარე ისტორია, სადაც აღწერილია თუ როგორ ცდილობს, XVI საუკუნიდან მოყოლებული, ოსმალეთი და სპარსეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონზე გავლენის მოპოვებას. რეგიონისთვის ბრძოლას XVIII საუკუნის დასაწყისიდან უერთდება რუსეთიც, რომელმაც მალევე შეძლო გარდამავალი უპირატესობის მოპოვება და მისი წარმატებები კავკასიის რეგიონში აშკარა გახდა.

XIX საუკუნის მიწურულისთვის რუსეთმა რეგიონში მეტოქეების ჯერ შესუსტება, შემდეგ კი დამარცხება შეძლო. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი იყო ფაქტობრივად უკანასკნელი შეტაკება, რომლითაც რუსეთმა მოიპოვა სრული ჰეგემონობა რეგიონში. 1878 წლის სან-სტეფანოს ზავით კი საბოლოოდ გაიმყარა პოზიციები ბალკანეთსა და კავკასიაში.

XX საუკუნოს 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რეგიონში ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ შესაძლებლობა მისცა თურქეთს დაეწყო გავლენის სფეროების გაფართოება, მით უფრო იმ ფონზე, როცა ახლად შექმნილ სახელმწიფოთა უმეტესობა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში თურქეთის მონათესავე ერებად აღიქმებოდნენ.

თავი II. სამხრეთ კავკასია, თურქეთი და ბიპოლარული მსოფლიო

მეორე თავში განხილულია თურქეთის ურთიერთობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან და რუსეთის, ირანის და ევროპის ქვეყნების ფაქტორი და მათი დამოკიდებულება თურქეთის სამხრეთ კავკასიური პოლიტიკის მიმართ.

2.1 თურქეთი და სამხრეთ კავკასია ევროპასთან ურთიერთობის პრიზმაში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლდათ, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ლიდერის როლის მოპოვება და თავისი გავლენის გაზრდა.

„ცივი ომის“ დასრულებამდე თურქეთი კარგად ართმევდა თავს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის დავალებას სსრკ-თან მიმართებით. დაპირისპირების პერიოდში აშშ - ის დახმარებით თურქეთი წარმატებით ასრულებდა შემაკავებელი პლაცდარმის ფუნქციას და არაფერია გასაკვირი, რომ მან და დასავლეთის სტრატეგებმა სამხრეთ კავკასიისა თუ ცენტრალური აზიის ქვეყნების სუვერენიტეტის აღიარებით, პრაქტიკულად გააფართოვეს თავიანთი გეოპოლიტიკური ზეგავლენის სფერო, ხოლო რუსეთს მაქსიმალურად შეუმცირეს მისი გავლენის არეალი როგორც სამხრეთ კავკასიის, ისე ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში. საწყის ეტაპზე, 1991-1994 წლებში ოფიციალური ანკარა ძალდონეს არ იშურებდა, რათა შეექმნა მაქსიმალურად ხელსაყრელი ნიადაგი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით. მან საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთანავე დაამყარა მათთან დიპლომატიური ურთიერთობები და ოფიციალური წარმომადგენლობები გახსნა ამ ქვეყნებში. აღნიშნული ნაბიჯების შემდეგ, თურქეთის ხელმძღვანელობამ წამოაყენა რეგიონულ ინტეგრაციასა და თანამშრომლობაზე მიმართული მრავალი ინიციატივა, მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო იყო თურქეთის პრეზიდენტ თურგუთ ოზალის (1989-1993) იდეა „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ (BSEC) ჩამოყალიბების შესახებ.

ამ ორგანიზაციის შექმნის შემდეგ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ თურქეთის ახალი პრეზიდენტის სულეიმან დემირელის (1993-2000) იდეა რეგიონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით „კავკასიის სტაბილურობის პაქტის“ შექმნა.

თურქეთის ხელმძღვანელობის შემდგომ ინიციატივას, რომელსაც დასავლეთი უჭერდა მხარს, წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და ბალკანეთში „თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს“ (TIKA) დაარსება, რომლის მეშვეობითაც თურქეთმა ფაქტობრივად გზა გაუხსნა თავის

ბიზნესმენებსა და კერძო სექტორის სხვა წარმომადგენლებს პოსტსაბჭოთა სივრცეში მცირე და მსხვილი ინვესტიციების განსახორციელებლად.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ არსებით გარემოებას, რომ 1991-1994 წლებში თურქეთი პრაქტიკულად მარტო აღმოჩნდა ამ რეგიონში, მიტოვებული თავისი ტრადიციული მოკავშირეების აშშ-ის და ევროპის მიერ, რომელთაც იმ დროისთვის ფაქტობრივად არ ჰქონდათ მკაფიოდ განსაზღვრული სამხრეთ კავკასიური პოლიტიკა, რაც უფრო აძნელებდა დასახული ამოცანებისა და მიზნების სრულფასოვან განხორციელებას. ამან კი განაპირობა უკვე საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთის ფედერაციის კვლავ გაააქტიურება რეგიონში, რისი თვალსაჩინო შედეგი გახდა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ (დსთ) შექმნა.

რუსეთის ამ ქმედებას დასავლეთმა და აშშ-მა დაუპირისპირა პროექტი „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (Partnership for Peace), რომლის მიზანიც ზემოხსენებული რეგიონის რუსეთის სრული გავლენის სფეროდან გამოყვანა იყო. თუმცა რეგიონში აღმოცენებულ კონფლიქტებმა (სამაჩაბლო, აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი) და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ერთიან საშიშ კერად წარმოჩენამ - შეაფერხა ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლა, რის შედეგადაც თანამედროვე ევროპა დადგა, პირველ რიგში, კონფლიქტების დარეგულირების აუცილებლობის წინაშე. თურქეთი კი ცდილობდა დასავლეთის მხარდაჭერა თავისი ინტერესების შესაბამისად გამოეყენებინა, გაემლიერებინა თავისი გავლენა რეგიონში, რაც თავის მხრივ გულისხმობდა სამხრეთ კავკასიის ახლადწარმოქმნილი ქვეყნების რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევას.

2.2. თურქეთის გეოსტრატეგიული მიზნები ამიერკავკასიაში და რუსეთის ფაქტორი

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, თურქეთ რუსეთის ურთიერთობა სრულიად ახალ გარემოში აღმოჩნდა, რაც ანკარას საგარეო პოლიტიკის ძირეული გადახედვისკენ უბიძგებდა. დაიწყო ბრძოლა რეგიონში ჰეგემონობისთვის. 1991 წელს

საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შემდეგ რეგიონში იმთავითვე უამრავი მოუგვარებელი კონფლიქტი წარმოიშვა, ძირითადად საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში (აფხაზეთი, სამაჩაბლო და მთიანი ყარაბაღი).

თურქეთ - რუსეთის ურთიერთობები, სწორედ ამ სახელმწიფოთა მიმართ კავშირში და არსებულ კონფლიქტთა ჭრილში უნდა იქნას განხილული, რამეთუ ორივე სახელმწიფო, ოსტატურად იყენებს საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ კონფლიქტებს, რათა გააძლიეროს თავიანთი პოზიციები.

კონფლიქტებში თურქეთი და რუსეთი სხვადასხვა გაერთიანებებში აღმოჩნდნენ. თუმცა თურქეთი, სტრატეგიული და ეკონომიკური ფაქტორების გამო მოსკოვთან აშკარა დაპირისპირებას მოერიდა. შედეგად ანკარა იძულებული იყო მოსკოვთან ურთიერთობაში დელიკატური პოლიტიკა გაეტარებინა, რათა ბალანსი დაეცვა კავკასიისა და ცენტრალური აზიის მუსლიმური და ძირითადად თურქულენოვანი ხალხების მიმართ და ამავე დროს, შეეჩერებინა რუსეთის პოლიტიკური მონოპოლიის დაბრუნება რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია გაცილებით სუსტი სახელმწიფო იყო, ვიდრე მისი წინამორბედი, ეს რუსეთს მნიშვნელობას სულაც არ უკარგავდა, რადგან იგი კვლავაც ანგარიშგასაწევი ძალა იყო, განსაკუთრებით რეგიონში არსებულ სახელმწიფოთა მიმართ.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში ასევე უნდა აღინიშნოს პირველი რეგიონალური ორგანიზაცია - ბისეკი - შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (Black Sea Economic Cooperation-BSEC), რომელიც დაარსდა თურქეთის ხელდასმით და მასში გაერთიანებული იყო თურქეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. თუმცა, წევრი ქვეყნების განსხვავებული პოზიციის გამო ორგანიზაციამ ვერ მოახერხა ეფექტური განვითარება არა თუ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მიმართულებითაც კი.

რეგიონის ქვეყნებთან, საწყის ეტაპზე, თურქეთის სამხედრო სტრატეგიული კავშირების დამყარებას ხელი შეუშალა „დსთ-ს“ შექმნამ. 1992 წლის 15 მაისს

ტაშკენტში დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის ძალითაც მონაწილე ქვეყნებმა ერთმანეთის დახმარების პირობა დადეს.

არსებული შეთანხმებიდან გამომდინარე რუსეთს მიეცა საშუალება განეთავსებინა ჯარები ჯერ სომხეთში (1993 წელი), მოგვიანებით კი საქართველოში (1994 წელი). ფაქტობრივად თურქეთი და რუსეთი სამხედრო თვალსაზრისით კვლავ დამეზობლდნენ.

XX საუკუნის მიწურულს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ყარაბაღის კონფლიქტმა, რამაც გამოაშკარავა ორი სახელმწიფოს თურქეთისა და რუსეთის ინტერესთა სხვადასხვაობა სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების მიმართ. ყარაბაღის კონფლიქტმა და მასში რუსეთის აქტიურმა როლმა აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე არ დაუშვებდა სხვა სახელმწიფოთა ჩართვას სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებში, რაც გახდა წინაპირობა იმისა, რომ თურქეთმა აზერბაიჯანის მიმართ აქტიური მხარდაჭერისაკენ თავი შეიკავა.

გარდა აზერბაიჯანისა და ყარაბაღის კონფლიქტისა, ჯერ კიდევ 1993 წლიდან, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში საქართველომაც მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა, საქართველოს თურქეთთან დაახლოების ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი, აფხაზეთის კონფლიქტი და ამ კონფლიქტთან მიმართებაში რუსეთის პოზიცია გახდა.

თურქეთსა და რუსეთს შორის პოლიტიკური დაპირისპირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ასევე უნდა მივიჩნიოთ ენერგორესურსები და მათ რეალიზაციაზე კონტროლის დამყარება, რომელიც გულისხმობდა კასპის აუზის ნავთობისა და გაზის რესურსების საერთაშორისო ექსპლუატაციას.

რუსეთის მთავარი მიზანი იყო კასპის აუზში არსებული ენერგორესურსების რეალიზაციაზე კონტროლი, ხოლო თურქეთი ცდილობდა ენერგორესურსების გატარება მოეხდინა საკუთარ ქვეყანაზე და გარკვეული როლი მოეპოვებინა კავკასიის ენერგოუსაფრთხოების საკითხში.

90-იანი წლების მეორე ნახევარში დაწყებული და განხორციელებული პროექტები („ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის“ ნავთობსადენი, „ბაქო - თბილისი ერზრუმის“ - გაზსადენი), რეგიონის ქვეყნების რუსეთის ენერგომონოპოლიისგან გათავისუფლება, გარკვეულწილად წარმოადგენდა რუსეთის გავლენის შემცირებას რეგიონზე, ხოლო ამ მხრივ თურქეთმა მცირე, მაგრამ კედევ ერთ გამარჯვებას მიაღწია.

XX საუკუნის მიწურულს აშკარა, გახდა რომ სამხრეთ კავკასიაში ორი გამოკვეთილი რეგიონული ძალა, რუსეთი, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე და თურქეთი, როგორც ახალი ძალა, რომელსაც დასავლეთის აქტიური მხარდაჭერა ქონდა, შეეცადნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუნდაც სამხედრო რესურსი (მაგალითად რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია) რეგიონში ჰეგემონობის მოსაპოვებლად.

2.3. თურქეთისა და ირანის ინტერესების თანხვედრა კავკასიაში

კავკასიის რეგიონში გავლენის გასაძლიერებლად ირანი და თურქეთი აქტიურად იბრძვიან და ამ ბრძოლაში ირანის აშკარა მოკავშირედ გარკვეულ გეოპოლიტიკურ საკითხებში რუსეთი გვევლინება.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე თურქეთისა და ირანის ინტერესების თანხვედრა რეგიონისადმი ვერ შედგა, ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ თურქეთის მიერ სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესების ზრდას მხარს უჭერდა დასავლეთ ევროპა და აშშ-ი. შესაბამისად კავკასიის რეგიონალურ პროცესებში აშშ-ისა და ევროკავშირის აქტიურმა ჩართულობამ, თეირანს უბიძგა რუსეთთან საერთო ენის ნახვისკენ.

შესაბამისად თეირანის ინტერესების შესუსტება კავკასიაში გარკვეულწილად განაპირობა მისმა კავშირმა რუსეთთან, რამეთუ მოსკოვის ინტერესებში არ შედის, თეირანის რაიმე მხრივ გავლენის გაზრდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ირანის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიდგომა სამხრეთ კავკასიისადმი შემდეგია: არ დაუშვას რომელიმე ძალის სრული კონტროლი რეგიონზე, შეინა-

რჩუნოს ბალანსი, რათა არ მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება რეგიონში, რომელმაც შეიძლება აშშ-ის, თურქეთის ან რუსეთის პოზიციები გააძლიეროს.

ირანის ისლამური რესპუბლიკის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირითადი სფეროებია: თანამშრომლობა ორმხრივი და მრავალმხრივი პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში; თანამშრომლობა ეკონომიკურ სფეროში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებისთვის; თანამშრომლობა ტრანსპორტის სფეროში; თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში; თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების საკითხებში და სხვა.

თეირანი აქტიურად იყო ჩართული ყარაბაღის კონფლიქტში და ცდილობდა შუამავლის როლის მორგებას, თუმცა თურქეთის გააქტიურებამ, როგორც აზერბაიჯანის უშუალო მოკავშირე, ირანს არ მისცა საშუალება რაიმე სახით ჩართულიყო აღნიშნულ კონფლიქტში.

თეირანის მცდელობა, XX საუკუნის მიწურულს, კავკასიის ახალ პოლიტიკურ რეალობაში დაეფიქსირებინა თავისი გავლენა, წარუმატებლად დასრულდა.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ირანისთვის სამხრეთ კავკასიაში არსებული ძალთა ბალანსი, რომელიც წარმოიქმნა 90-იან წლებში, მეტ-ნაკლებად მისაღებია. მიუხედავად იმისა რომ ირან-რუსეთის ურთიერთობა ხასიათდება მრავალმხრივი თანამშრომლობით, რომელიმე რეგიონული სახელმწიფოს, თუნდაც რუსეთის ან მით უფრო თურქეთის სასარგებლოდ შეცვლა არ შედის თეირანის ინტერესებში. ასევე, გრძელვადიან პერსპექტივაში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების სანაცვლოდ, აზერბაიჯანის, რუსეთის თუნდაც თურქეთის ინტეგრაციულ პროცესებთან მიერთება, ირანის საზღვრებთან ძლიერი აზერბაიჯანის არსებობას ნიშნავს, რაც ასევე არ შედის ირანის ინტერესებში.

რაც შეეხება საქართველოს ადგილს, ირანის სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაში დიდი ხნის ისტორია აქვს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ირანი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო და მასთან პოლიტიკური ურთიერთობა დაამყარა.

ირანის ისლამური რესპუბლიკა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. ირანს საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ თავისი მიდგომა და პოზიცია გააჩნია. ირანის ისლამურ რესპუბლიკას ყარაბაღის კონფლიქტისაგან განსხვავებით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში სამედიატორო ფუნქციის შესრულების სურვილი არ გამოუთქვამს, მაგრამ პოზიცია ნათლად აქვს გამოხატული. ოფიციალური თეირანი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და თეირანის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების საფრთხე, არსებულ რეალობაში, არ დგას. ირანისთვის მიუღებელია სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების შეცვლა და ამასთანავე, ირანს საკუთარი მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელიდან გამომდინარე „არ აწყობს“ სეპარატიზმის მხარდაჭერა და მსგავსი პრეცედენტის დაშვება.

თავი 3. თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში

მე-3 თავი შედგება ორი ქვეთავისაგან, სადაც აღწერილია თურქეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური კავშირის დამყარება, თუ რამ განაპირობა ამ ორ ქვეყანას შორის მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება, რამაც საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოთაშორის პარტნიორობას, ასევე ცალკე თავად მოცემულია თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები, რომელმაც ძალზედ დიდი მნიშვნელობა შეიძინა განსაკუთრებით საქართველოსთვის 90-იანი წლებში მძიმე ეკონომიკური კრიზისის დროს.

3.1. დიპლომატიური კავშირების დამყარება თურქეთ-საქართველოს შორის XX საუკუნის 90-იან წლებში

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა და სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის დესტაბილიზაციამ, თურქეთის სწრაფვამ დაემყარებინა კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა აზერბაიჯანთან და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, განაპირობა საქართველოს პოლიტიკური როლის მნიშვნელოვანი ზრდა, რამეთუ

ერთადერთ დამაკავშირებელ გზად თურქეთს, აზერბაიჯანს და ცენტრალურ აზიას შორის სწორედ საქართველო განიხილებოდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთიც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური წნეხისგან გასათავისუფლებლად და დასავლეთთან დასაკავშირებლად.

თურქეთმა 1991 წლის 16 დეკემბერს ოფიციალურად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, აღიარა მისი სახელმწიფოებრიობა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა, საქართველოში პირველი ვიზიტისას განაცხადა: „ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ჩამოვედი, რათა განვიხილოთ ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შორის ფართო თანამშრომლობის გზები. საქართველო დემოკრატიის გზას ადგას. ჩვენ ერთი საზღვარი, ერთი ზღვა, ერთი ინტერესი გვაქვს. ჩვენი გზა, მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თანამშრომლობის გზაა“.

ამავე ვიზიტის დროს ედუარდ შევარდნაძემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ასეთი რანგის ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის.

ორ სახელმწიფოს შორის ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობის და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ“. ამ ხელშეკრულების მიხედვით ორივე ქვეყანა აღიარებდა ერთმანეთის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ურღვევობას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას და გამოთქვამდა თანამშრომლობის გაღრმავების სურვილს.

ხელშეკრულების დადების შემდეგ თურქეთ - საქართველოს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო, რის შესახებ თურქეთის რესპუბლიკაში პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნოდარ კომახიძე წერდა: „საქართველო - თურქეთის ურთიერთობებს დიდი პერსპექტივები აქვს. საქმე ეხება მჭიდრო, თანა-

სწორუფლებიან, მზარდ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.“

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც ხელი შეუწყო თურქეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის განვითარებას, კასპიის რეგიონის ნავთობისა და ბუნებრივი აირის საქართველოს გავლით თურქეთში ტრანსპორტირება იყო. თურქეთი ბევრს ეცადა, რომ ეს ფუნქცია საქართველოს შეესრულებინა. ასევე, საქართველოს მთავრობამ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით დიდი ინტერესი გამოიჩინა კასპიის ენერგორესურსების სატრანსპორტო მილსადენების საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთისათვის მიწოდების მიმართ. ამავე დროს, ეს პროექტი მიჩნეულ იქნა საქართველოს უსაფრთხოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონედ, რადგანაც არსებული კასპიის ენერგორესურსების საქართველოს გავლით თურქეთისათვის მიწოდება საქართველოსათვის რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენისაგან თავის დაღწევას ნიშნავდა.

თურქეთ-საქართველოს შორის ინტერესთა ერთობლიობამ შექმნა ხელსაყრელი პირობები ამ ორ სახელმწიფოს შორის არამარტო პოლიტიკური, არამედ მჭიდრო კულტურული საგანმანათლებლო თუ ეკონომიკური კავშირებისა.

90-იან წლებში დაწყებული პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობა გახდა ერთ-ერთი საშუალება ქართველი და თურქი ხალხის დაახლოებისა რომელიც დღითიდღე უფრო ღრმავდება.

მიუხედავად თურქეთთან მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური ურთიერთობებისა, ვფიქრობთ საქართველოს ხელისუფლება მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს საკითხს, რამეთუ მთელი კავკასია, საქართველოს ჩათვლით, თურქეთის ინტერესთა სფეროში შედის. ანკარას აინტერესებს ცენტრალური აზიაც, რომელთანაც სახმელეთო სატრანსპორტო კავშირის ერთადერთ გზას წარმოადგენს საქართველო-აზერბაიჯანის გეოგრაფიული დერეფანი. თუკი გავითვალისწინებთ თურქეთის ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს, მის მზარდ საგარეო პოლიტიკურ გავლენას და შესაბამისი სამსახურების მძლავრ რესურსებს, მაშინ ცხადია, რომ თურქეთის მიერ საქართველოზე გარკვეული გავლენის

მოპოვება გარდაუვალია. ეს შეიძლება, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგების მომტანი გახდეს. იმისათვის, რომ უარყოფითი არ სჭარბობდეს, საჭიროა ორი პირობის დაკმაყოფილება: პირველი, საქართველო არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას თურქეთის რეგიონული პოლიტიკისათვის, მხარი უნდა დაუჭიროს კავკასიის რეგიონში ანკარის ყველა იმ ინიციატივას, რომელიც საქართველოს ინტერესებს შეესაბამება და, ამავე დროს, საქართველომ არ უნდა დაუშვას თურქეთის უკონტროლო გავლენა საქართველოს ცალკეულ რეგიონებზე. საქართველოს ამოცანა უნდა იყოს თურქეთ-საქართველოს შორის არსებული ურთიერთობის დადებითი მხარეების მაქსიმალური გამოყენება და გამოწვეული საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანა.

3.2 თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური პარტნიორობა

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელმაც არსებობა 1991 წლიდან დაიწყო, ღრმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისში მოექცა.

ქვეყანაში წარმოქმნილმა კონფლიქტებმა, აფხაზეთის და სამოქალაქო ომმა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. ამ მძიმე პირობების მიუხედავად, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება ეკონომიკის გარკვეული გამოღვიძება, რაშიც უდიდესი წვლილი თურქეთის რესპუბლიკას მიუძღვის, რომელმაც ძნელბედობის ჟამს პირველმა გაუწოდა საქართველოს დახმარების ხელი.

უკვე 1994 წლის მაისში დაიდო პირველი თურქულ-ქართული შეთანხმება ვაჭრობის შესახებ, რომელიც გულისხმობდა თანამშრომლობას საბაჟო სფეროში. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი მხარეთა შორის ვაჭრობას, ხოლო თურქეთი 1995 წელს საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი გახდა.

1995 წლიდან საქართველოში ეკონომიკური სტაბილიზაციის შემდეგ ორ ქვეყანას შორის განვითარდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. თურქეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტები და სამშე-

ნებლო მასალები, ხოლო საქართველოდან გაჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ფოლადის პროდუქცია.

ოფიციალური მონაცემებით, 90-იანი წლებიდან 2000 წლისათვის საქართველოში მოქმედებდა კვების მრეწველობის 45 თურქული ფირმა, კომუნიკაციების, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სხვა სფეროებში. საქართველოში შექმნილი სიმწვანების გამო, 90-იანი წლების დასაწყისში, ზამთრის პერიოდში საქართველო თურქეთიდან იღებდა დაახლოებით 250-300 მილიონ კილოვატ ელექტროენერჯიას, რომელსაც საქართველოს მთავრობა უბრუნებდა შეთანხმების საფუძველზე ზაფხულის თვეებში.

თურქეთ - საქართველოს ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ენერგოპროექტების განხორციელებას. სწორედ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენისა და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ გაზსადენის პროექტის განხორციელება იყო დასტური ორ სახელმწიფოს შორის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორობისა. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე „ბაქო-თბილისი-ყარსის“ სარკინიგზო ხაზის მშენებლობის საკითხი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებდა აზიისა და ევროპის ბაზრებს, რომელიც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება თურქულ-ქართულ სავაჭრო თუ პოლიტიკურ ურთიერთობებში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ორ ქვეყანას შორის ახლო პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური კავშირები წარმოადგენს ორ თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა ურყევ კავშირს, ხოლო მათ შორის არსებული დინამიური და ნაყოფიერი პარტნიორული ურთიერთობები კი ხელს უწყობს კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას.

თავი 4. თურქეთის ურთიერთობა სომხეთთან

აღნიშნულ თავში ორი პარაგრაფია გამოყოფილი, სადაც განხილულია თურქეთ-სომხეთს შორის არსებული ურთიერთობების საფუძვლები, თუ რა მიზეზებმა განაპირობა ამ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც საზღვრის ჩაკეტვითა და პოლიტიკური კავშირის გაწყვეტით დასრულდა და რა მოლოდინები

არსებობდა ურთიერთობის მოგვარების მხრივ. მნიშვნელოვანია რა გავლენას იქონიებს კონფლიქტის მოგვარება რეგიონის სხვა ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზე.

4.1 თურქეთ-სომხეთის ურთიერთობა XX საუკუნის 90-იან წლებში

სომხეთ-თურქეთის ურთიერთობა ისტორიის მანძილზე საკმაოდ დრამატული სცენარით მიმდინარეობდა, რომელმაც უმაღლეს ფაზას პირველ მსოფლიო ომის წლებში მიაღწია, როდესაც მოხდა სომეხთა მასობრივი დევნა, დეპორტაცია ოსმალეთის სახელმწიფოს პერიფერიული თუ შიდა რეგიონებიდან.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (1914–1918) „ახალგაზრდა თურქების“ მთავრობის პროპაგანდა ოსმალეთში მცხოვრებ სომეხებს დივერსანტებად და პრორუსულ „მეხუთე კოლონად“ მოიხსენიებდა. „ახალგაზრდა თურქები“ თვლიდნენ, რომ თურქეთში მცხოვრებ სომეხებში ანტითურქული განწყობა იზრდებოდა, რაც საფრთხეს უქმნიდა თურქეთის ინტერესებს. ამიტომაც, ოსმალეთის სახელმწიფოს მმართველებმა აღმოსავლეთ ანატოლიიდან სირიის უდაბნოში სომეხების მასობრივი დეპორტაცია განახორციელეს. დეპორტაციის შედეგად, ასეულ ათასობით სომეხი დაიღუპა, მათი უმრავლესობა შიმშილითა და ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

ეს ფაქტი სომეხთა მიერ გენოციდად იქნა შეფასებული, რასაც თურქეთის ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც სომეხთის დამოუკიდებლობა აღიარა. თუმცა, ამან ხელი ვერ შეუწყო ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის შერბილებას. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტმა კი ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაართულა და ჩიხში შეიყვანა. თურქეთმა სომხეთთან საზღვარი 1993 წელს, მას შემდეგ ჩაკეტა, რაც სომეხებმა კელბაჯარის რაიონი დაიკავეს.

მიუხედავად არსებული კონფლიქტებისა, სომხეთის პირველი პრეზიდენტი ტერ-პეტროსიანი (1990-1997) და მისი თანამოაზრეები მიიჩნევდნენ, რომ თურქ-

ეთსა და სომხეთს შორის არსებულ ისტორიულ გამოცდილებას ხელი არ უნდა შეეშალა ორ სახელმწიფოს შორის პრაგმატული ურთიერთობების დაწყებისათვის.

სომხეთის მიდგომა საკითხისადმი რადიკალურად შეიცვალა 1998 წლიდან, როცა ქვეყნის სათავეში რობერტ ქოჩარიანი (1998-2008) მოვიდა. მისი პრეზიდენტობის პერიოდში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა გენოციდის აღიარება იყო, მისი მმართველობის პერიოდში ურთიერთობა სომხეთ-თურქეთს შორის კიდევ უფრო დაიძაბა.

სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დათბობას მოასწავებდა 2009 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული ციურიხის ოქმი, რომელიც ითვალისწინებდა ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენასა და სუვერენიტეტის პატივისცემას. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ახალი ფაზა იწყებოდა და ისტორიული ნარატივებით გამყარებულ პოლიტიკას პრაგმატული პოლიტიკური კურსი ჩაანაცვლებდა. თუმცა, მოლაპარაკებების რაუნდი ჩაიშალა, რაშიც დიდი როლი სომხურმა დიასპორამ ითამაშა, რომელიც ციურიხის ოქმის რატიფიცირების წინააღმდეგი იყო, რადგანაც თურქეთისგან მოითხოვდა სომეხთა გენოციდის აღიარებას, ხოლო მეორე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი გახდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი სომხეთსა და თურქეთის პარტნიორ აზერბაიჯანს შორის.

სომეხთა ე.წ. „გენოციდის“ საკითხი კვლავ რჩება გადაუჭრელ პრობლემად, რომელიც ხელს უშლის თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის ნორმალიზაციას და აფერხებს თურქეთის პოლიტიკური გავლენის ზრდას სამხრეთ კავკასიაში. ხოლო თურქეთთან ჩაკეტილი საზღვარი და მთიანი ყარაბაღის გამო გაჩაღებული კონფლიქტი აზერბაიჯანთან, სომხეთს იძულებულს ხდის თავისი პოლიტიკური კურსი მიმართოს რუსეთის ფედერაციისკენ, რაც ერთგვარ ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება რეგიონის ერთიანი სტაბილიზაციის ჩამოყალიბებაში.

4.2 თურქეთ-სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივები

თურქეთ-სომხეთს შორის საზღვრის გახსნის ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორიც „ყარაბაღის კონფლიქტი“ და „სომეხთა ე.წ. გენოციდის“ საკითხია.

მეტად მნიშვნელოვანია, ოპტიმისტური შედეგის მიღწევის შემთხვევაში, რას მოუტანს თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის დარეგულირება რეგიონს? განსაკუთრებით რა გავლენას იქონიებს საქართველოზე?

უმთავრესი ჩვენთვის მაინც ის არის, დაკარგავს თუ არა საქართველო სატრანზიტო ფუნქციას და რა პოლიტიკური თუ ეკონომიკური საფრთხის შემცველი, თუ ახალი შესაძლებლობების მომცემი შეიძლება იყოს თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის დარეგულირება.

თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის დარეგულირებამ შეიძლება შეცვალოს რეგიონში გლობალურ მოთამაშეთა გავლენების გადანაწილების სცენარი, რაც შეცვლის სამხრეთ კავკასიის დერეფნის კონტროლის ბერკეტებსაც.

თავის მხრივ, უნდა ავლნიშნოთ, რომ ევროპა და განსაკუთრებით, ამერიკა, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა შეანელა სვლა დასავლეთისაკენ, აქტიურად უჭერს მხარს თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის დარეგულირებას.

როგორი უნდა იყოს ქართული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიური დერეფნის აქტიური როლის შენარჩუნებაში, რაც ამ ასპექტში თურქეთ - სომხეთის ურთიერთობაში გამოიხატება და როგორ უნდა შეძლოს საქართველომ ამ რთული საკმაოდ არაპროგნოზირებადი სიტუაციის მართვა.

აშკარაა, რომ საქართველოს მთავრობას თურქეთ-სომხეთის დარეგულირების პროცესზე გავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი ბერკეტები არ აქვს და ამ კუთხით გააქტიურება არც სჭირდება. მისი ქმედება უნდა ემყარებოდეს იმ დაშვებას, რომ ამ პროცესის არც ერთი შესაძლო შედეგი, ურთიერთობების დარეგულირება ან შეთანხმების ჩაშლა საქართველოსთვის უშუალო საფრთხეს არ წარმოადგენს. ამავე დროს, სასურველია შემდეგი პოლიტიკური სტრატეგიების მხარდაჭერაც: საქართველოს მთავრობამ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების დარეგულირებას, განსაკუთრებით, თუ ის მოიტანს პროგრესს მთიანი

ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგებაში. ამავე დროს, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოსა და სომხეთს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარებას. საზოგადოებამ და სახელმწიფო მართვის ორგანოებმა უნდა გაიაზრონ ამ კავშირების საჭიროება და მათი ღირებულება საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის. ამ ფონზე საქართველო შეძლებს შეინარჩუნოს მნიშვნელოვანი როლი სამხრეთ კავკასიის დერეფნის არსებობაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვექტორი გადატანილი იქნას სომხეთის მხარეს და თუ ყარაბაღის კონფლიქტიც მოგვარდება, ვფიქრობთ შეიქმნება, რეგიონის და მათ შორის საქართველოს შემდგომი განვითარებისათვის, მეტად ხელსყრელი გარემო, რაც უფრო მეტ მოგებას მოუტანს საქართველოს ვიდრე სატრანზიტო გზიდან ღებულობს, რამეთუ უსაფრთხო სამხრეთ კავკასიის შექმნა გულისხმობს გაცილებით სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას.

ასეთი ფართო მასშტაბიანი პოლიტიკური ცვლილებების ფონზე საქართველო ვერ დარჩება მაყურებლის როლში და არა მარტო აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი თურქეთ-სომხეთისა და სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის მოწესრიგებას, არამედ თვითონაც უნდა მიიღოს სერიოზული სარგებელი, თუ სწორად იმოქმედებს.

თავი 5. თურქეთისა და აზერბაიჯანის სტრატეგიული თანამშრომლობა

თურქეთ-აზერბაიჯანის სტრატეგიული თანამშრომლობა და ყარაბაღის კონფლიქტი ის მნიშვნელოვანი საკითხებია, რომელიც დიდ გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიის რეგიონზე, რამეთუ, ერთის მხრივ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი გარკვეულწილად განპირობებულია თურქეთ-აზერბაიჯანის თანამშრომლობით და ასევე სომხეთის იზოლაციაც ყარაბაღის კონფლიქტთან არის დაკავშირებული.

5.1 თურქეთი-აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორი

აზერბაიჯანის რესპუბლიკამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 30 აგვისტოს, სსრკ-ის ოფიციალურ დაშლამდე, რომელიც 1991 წლის 8 დეკემბერს მოხდა. აზერბაიჯანის რესპუბლიკამ საწყის ეტაპზე თავის საგარეო კურსი თურქეთს დაუკავშირა.

ამის მზაობა თურქეთმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დაარსებისთანავე გამოთქვა, ანკარა აზერბაიჯანს განიხილავდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტნიორად, რომელიც თურქეთს დააკავშირებდა ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და ამავე დროს დაეხმარებოდა თურქეთს სამხრეთ კავკასიაში გავლენის მოპოვებაში.

აზერბაიჯანოს პრეზიდენტი აბულფაზ ელჩიბეი (1992-1993) ღიად აცხადებდა, რომ „ჩვენ პირველ რიგში ვართ თურქები და შემდეგ მუსლიმები“. ის იმასაც კი ამბობდა, რომ აზერბაიჯანი და თურქეთი იყო „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“. გარდა ამისა, თურქეთი დასავლეთთან დამაკავშირებელ ხიდადაც მიიჩნეოდა, რომელმაც პირველმა აღიარა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. ამავე დროს, ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში თურქეთის მიერ აზერბაიჯანის პოზიციების მხარდაჭერამ ორ სახელმწიფოს შორის მოკავშირეობისათვის საფუძვლიანი და ხელსაყრელი პირობები შექმნა.

თურქეთის უშუალო დახმარებით 1994 წელს აზერბაიჯანი ჩაერთო ნატოს პროგრამაში, პარტნიორობა მშვიდობისათვის, 1999 წელს კი პირველად მიიღო მონაწილეობა ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში კოსოვოში. 2000 წელს, დიდი ხნის მოლაპარაკებების შედეგად, აზერბაიჯანი ევროპის საბჭოს წევრი გახდა, რაც პოსტ-კომუნისტურ ეპოქაში აზერბაიჯანის პროდასავლური ორიენტაციის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად იქნა შეფასებული.

თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობათა მწვერვალი გახლდათ 90-იანი წლების ბოლოს ჩატარებული სტამბოლის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის სამიტი. 1999 წლის 18 ნოემბერს სტამბოლში, აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობ-

სადენის მშენებლობის დოკუმენტს, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა საერთო მასშტაბურ პროექტს.

თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის ერთადერთ ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება მოვიყვანოთ თურქეთ-სომხეთს შორის დიპლომატიური კავშირების დამყარება, რომლის მცდელობა თურქეთს ჰქონდა 90-იან წლებში და სწორედ აზერბაიჯანის მწვავე რეაქციის გამო შეფერხდა.

აზერბაიჯანის შემადგენლობაში მყოფ მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაწყებული უთანხმოება ამ ქვეყნებთან თურქეთის ურთიერთობაში განმსაზღვრელი ფაქტორია. მთიანი ყარაბაღის საკითხმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზებაზე.

ამიტომაც, ანკარას, ერევანსა და ბაქოს შორის ურთიერთობის ყველა საკითხი პირდაპირ და ირიბად სწორედ ყარაბაღის კონფლიქტთანაა დაკავშირებული.

1992 წლიდან მოყოლებული, მინსკის ჯგუფის ფორმატით ეუთოს ფარგლებში წარმოებულმა მოლაპარაკებებმა კონფლიქტის დარეგულირებისათვის დღემდე ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო. სომხური საზოგადოების დიდი ნაწილისათვის აზერბაიჯანელები „თურქები“ არიან. ამის გამო 1915-1916 წლების სომეხთა ე.წ. „გენოციდსა“ და მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანის შესაძლო მიზნებს შორის სწრაფად გამოიძებნა კავშირი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზერბაიჯანის მსგავსად, თურქეთსაც უკვე ორი ათეული წელია, რაც სომხეთთან საზღვარი ჩაკეტილი აქვს. მას მეზობელ სახელმწიფოსთან არც დიპლომატიური ურთიერთობა აკავშირებს. ანკარა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეცდება სომხეთთან ურთიერთობის გამოსწორებას, თუ ერევანი აზერბაიჯანთან დათმობებზე წავა. სომხეთი კი მთიანი ყარაბაღის საკითხში არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს.

თურქეთი უმნიშვნელოვანეს პრტნიორს წარმოადგენდა ყარაბაღის კონფლიქტში აზერბაიჯანისთვის. 1992 წელს ანკარამ და ბაქომ ხელი მოაწერეს სამხედრო სფეროში უთიერთდახმარების პაქტს, რომელიც ორივე მხარეს უადვილებდა

ერთმანეთისთვის დახმარების გაწევას მესამე ქვეყნის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში, თუმცა ეს შეთანხმება არსებით პირობას შეიცავდა: 1) ის რეგულირდებოდა გაეროს პრინციპებით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით. რაც გამორიცხავდა თურქეთის პირდაპირ ჩარევას ყარაბაღის კონფლიქტში, რადგან ამისთვის საჭირო იქნებოდა არამართო სომხეთის ოფიციალური აღიარება აგრესორად გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, არამედ ნატოში თურქეთის მოკავშირეების თანხმობაც.

ყარაბაღის კონფლიქტი მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის აზრით, ეროვნული ხასიათის ომია, ზოგჯერ მას „მუსლიმურ - ქრისტიანული“ დაპირისპირების ასპექტშიც განიხილავენ. ამიტომაც ამ კონფლიქტის მოგვარება, საუკუნეთა მიჯნაზე, დარჩა სამხრეთ კავკასიის რეგიონის უმნიშვნელოვანეს გამოწვევად.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს კვლავაც გადამწყვეტი გავლენა აქვს სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე. აზერბაიჯანი და თურქეთი ერთმანეთთან კვლავ მჭიდროდ არიან დაკავშირებული. მათ სომხეთთან გამავალი საზღვრები ჩაკეტილი აქვთ. იზოლირებული სომხეთი კი აზერბაიჯანისგან საფრთხეს მოელის, რის გამოც უსაფრთხოების მიზნით რუსეთში ეძებს დამცველს. თურქეთი ანგარიშს უწევს ბაქოს მოთხოვნას, შეინარჩუნოს სომხეთის იზოლაცია. ბაქო კი, თავის მხრივ, მხარს უბამს თურქეთის ამბიციებს, იყოს რეგიონის მთავარი მოთამაშე.

თავი 6. თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობის მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის

ბოლო თავში, რომელიც ორი ქვეთავისგან შედგება განხილულია თურქეთ-საქართველო - აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობის მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის მსოფლიო პოლიტიკაში. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია სამხრეთ კავკასიის როლზე, როგორც ევრაზიის დამაკავშირებელი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი რეგიონი, რომელსაც შეუძლია განსაკუთრებული წვლილი შეიტანოს ევროპის ენერგომომარაგებაში.

6.1 კავკასიური სამკუთხედი: თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანი

XX საუკუნის 90-იანი წლიდან, ოფიციალური ანკარა ახორციელებს საკმაოდ პრაგმატულ და სტაბილურ პოლიტიკას სამხრეთ კავკასიაში. თურქეთი უპირატესობას ანიჭებს ურთიერთობებს აზერბაიჯანთან. ეს აიხსნება, როგორც ორი ქვეყნის კულტურული და ენობრივი სიახლოვით, ისე აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობით. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენისა და „ბაქო-თბილისი-ერზერუმის“ გაზსადენმა, ისევე როგორც „ბაქო-თბილისი-ყარსის“ სარკინიგზო პროექტის რეალიზაციის დაწყებამ სამხრეთ კავკასიას შესძინა დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია თურქეთისთვის, რომლის სურვილი იმთავითვე მდგომარეობდა შემდეგში: შეესრულებინა ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია ევროპასა და კასპიისპირეთის რეგიონს შორის. ამის ლოგიკური შედეგი გახლდათ ის, რომ საგრძნობლად გაიზარდა თურქეთის ინტერესი საქართველოს მიმართ, რომელიც გეოგრაფიული თვალსაზრისით წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს თურქეთს, აზერბაიჯანსა და ცენტრალურ აზიას შორის. თურქეთმა განავითარა მჭიდრო კავშირები საქართველოსთან, რამაც შემდგომში მიიღო სტრატეგიული პარტნიორობის სახე.

რამდენად მჭიდრო და პერსპექტიულია თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობა და რა განაპირობებს შიიტური აზერბაიჯანის, მართმადიდებელი საქართველოსა და სუნიტური თურქეთის კავშირს?

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რეგიონში წარმოშობილი კონფლიქტებია, რადგან მათ გაღვივებაში საქართველო და აზერბაიჯანი რუსეთს ადანაშაულებენ, რამაც განსაზღვრა შემდგომი მათი პოლიტიკური კურსი თურქეთის სასარგებლოდ.

რაც შეეხება უშუალოდ აზერბაიჯანის პროთურქულ კურსს, იგი გამოწვეულია ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში თურქეთის მიერ აზერბაიჯანის პოზიციების მხარდაჭერით, რამაც ორ სახელმწიფოს შორის მოკავშირეობისათვის საფუძვლიანი და ხელსაყრელი პირობები შექმნა.

ანკარა დასავლეთთან დამაკავშირებელ ხიდადაც მიიჩნეოდა. ასევე, თურქეთი გახდა აზერბაიჯანის ენერგოპარტნიორი, რასაც გლობალურ სამყაროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

რაც შეეხება თურქეთის მიზნებს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში, უფრო გლობალურია. მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა:

- ევროპასა და აზიას შორის ხიდის ფუნქციის შენარჩუნება;
- კავკასიაში რუსეთის დომინანტობის აღკვეთა;
- მეზობლებთან მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნება.

ყოველივე ეს რეგიონში ჰეგომონობის დამყარებას ისახავდა მიზნად.

აზერბაიჯანთან პირდაპირი კავშირის საჭიროება თურქეთს კარნახობდა, რომ მას სჭირდება მინიმუმ ორიდან ერთი - ან საქართველოს, ან სომხეთის გაკონტროლება. რუსეთის მიერ სომხეთის კონტროლისა და სომხეთ-თურქეთის ისტორიული უთანხმოების გამო ანკარამ გადაწყვიტა, აერჩია საქართველოსთან თანამშრომლობისა და სომხეთის იზოლირების სტრატეგია.

შესაბამისად, თურქეთის გეოსტრატეგიული მიზნები, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, სამხრეთ კავკასიის მიმართ შემდეგი იყო:

- დაემყარებინა საქართველოზე საკმარისი კონტროლი;
- გაემლიერებინა სტრატეგიული კავშირი აზერბაიჯანთან;
- შეექმნა პოლიტიკური დასაყრდენი ჩრდილოეთ კავკასიაში და მოექრა რუსეთისთვის გზა სამხრეთ კავკასიისკენ;
- განედევნა რუსეთი სომხეთიდან და უზრუნველყო რეგიონზე საკუთარი გრძელვადიანი გავლენა.

ზემოთ ჩამოთვლილიდან, თურქეთმა პირველი ორი სვლა ბრწყინვალედ შესრულა, ხოლო შემდეგს თუ არა მესამე და მეოთხე სვლების ასევე ბრწყინვალედ შესრულებას და პირველი ორის შენარჩუნებას ამას დრო გვიჩვენებს.

ამ ყოველივედან გამომდინარე, საჭიროა სწორად გავანალიზოთ 90-იან წლებში, თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელების სტრატეგია სამხ-

რეთ კავკასიის სახელმწიფოებისთვის, განსაკუთრებით კი თურქეთ-აზერბაიჯანის სტრატეგიული ურთიერთობის ფონზე საქართველოსთვის.

საქართველოს ნებისმიერმა ხელისუფლებამ სიღრმისეულად უნდა გააცნობიეროს ის კონიუქტურა, რაც საქართველო-თურქეთ-აზერბაიჯანის პარტნიორობას გულისხმობს, და სწორად განსაზღვროს ამ პარტნიორობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

6.2 ენერგო პროექტები და მისი გავლენა თურქეთზე და სამხრეთ კავკასიის რეგიონზე

სამხრეთ კავკასია წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის შემადგენელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. სამხრეთ კავკასიაში მომხდარი ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენა, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მიმდინარე მოვლენებზე აისახება, რის მიზეზსაც მისი გეოსტრატეგიული მდებარეობა განაპირობებს.

ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასიის დერეფნის წარმოქმნა განპირობებულია ცენტრალური აზიის ენერგორესურსებთან სიახლოვით, რუსეთის ენერგომონოპოლიის შესუსტებით და ირანის რადიკალიზმით. მეორე მხრივ, ჩრდილო-სამხრეთის დერეფნის პერსპექტივა რუსეთ-საქართველოს შორის არსებულმა კონფლიქტებმა შეასუსტა, აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ენერგოდერეფნის საქართველოს ტერიტორიაზე გაჭრა კი სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტმა და სომხეთსა და თურქეთს შორის დამაბულმა ურთიერთობამ წაახალისა.

1993 წელს ბრიუსელში ინიცირებული იქნა სატრანსპორტო დერეფნის პროექტი „ევროპა-კავკასია-აზია“ (TRACECA). იგი ერთ-ერთი ევროპული სატრანსპორტო დერეფანია, რომელიც გადის ევროპიდან შავი და კასპიის ზღვების გავლით ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

პროექტის დაწყებიდან დღემდე „ტრასეკას“ მიერ უამრავი პროექტი იქნა დაფინანსებული, რომლის მიზანია პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მხარდაჭერა, მათი ევროპულ და მსოფლიო ბაზრებზე

გასვლის პოტენციალის ზრდაში დახმარება და ალტერნატიული სატრანსპორტო გზების მოძიება.

მეორე მნიშვნელოვან პროექტს, რომელმაც ხელი შეუწყო რეგიონის სატრანზიტო, ევრაზიის დამაკავშირებელი დერეფნის ჩამოყალიბებას, ჩაეყარა საფუძველი 1995 წელს და ინოგეიტის (INOGEOT) პროგრამის სახელით არის ცნობილი.

სამხრეთ კავკასიის ენერგოსატრანზიტო დერეფნის ჩამოყალიბებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიულ თანამშრომლობას.

ამ ორი ქვეყნის ურთიერთობები სტრატეგიული პარტნიორობის წარმატებული და იშვიათი მაგალითია, მითუმეტეს ისეთი რეგიონის კვალობაზე, როგორცაა სამხრეთ კავკასია. პარტნიორობას საფუძველი ჩაუყარა მრავალმა ფაქტორმა: ეს იყო საერთო პრობლემები და გამოწვევები - ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და მისი თანმხლები ომები, სამოქალაქო დაპირისპირება და საბჭოთა კავშირის დანგრევის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები; მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო საერთო ხედვა - ორივე ქვეყანამ თავის დროზე გადაწყვიტა თავი დაეღწია საბჭოთა პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელს და გასულიყო უფრო დიდ, პრაქტიკულად გლობალურ მასშტაბზე.

ორ ქვეყანას ერთმანეთთან აკავშირებს ისეთი მსხვილმასშტაბიანი, რეგიონული მნიშვნელობის მქონე ენერგეტიკული მიღწევები, როგორებიცაა „ყულევის“ ნავთობ-ტერმინალი, „ბაქო-სუფსისა“ და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენები.

საქართველო და აზერბაიჯანი ერთად მონაწილეობენ „სამხრეთის დერეფნის“ ინიციატივის განხორციელებაში. ისეთი გლობალური ენერგეტიკული პროექტების პრაქტიკული განხორციელება, რომელიც („Nabucco“, „Trans-Caspian Pipeline“ („ნაბუკო“, „ტრანს-კასპიური“ მაგისტრალი), „White Stream“ (თეთრი ნაკადი), AGRI (აზერბაიჯან-საქართველო-რუმინეთის შორის შეკუმშული ნავთობის ტრანსპორტირება) ხელს შეუწყობს მონაწილე სახელმწიფოების ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვან ზრდას.

სწორედ ეს პროექტები და საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობა არის განმსაზღვრელი სამხრეთ კავკასიის, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფნის არსებობაში, რომელსაც აქვს საკმაოდ მზარდი პერსპექტივა უზრუნველყოს ცენტრალური აზიის ენერგორესურსების ტრანზიტი ევროპაში და ევროპის ენერგოუსაფრთხოება.

თუმცა, მსოფლიო ენერგოპოლიტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არამარტო იმ ქვეყნებს, რომლებიც უშუალოდ მისი მომპოვებელნი არიან, არამედ იმ ქვეყნებსაც, რომელთა გავლითაც ამ ენერგორესურსების ტრანსპორტირება ხდება დანიშნულების ადგილამდე.

ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე თავად ევროპაა, რომელიც გაზისა და ნავთობის მოხმარების მხრივ მსოფლიოში წამყვან ადგილს იკავებს, ამიტომაც ის მაქსიმალურად ცდილობს ენერგოდამოკიდებულების დივერსიფიცირებას.

თავის მხრივ, სერიოზულ მოთამაშედ ჩამოყალიბდა რუსეთი, რომელმაც ენერგორესურსები საგარეო პოლიტიკის ძირითად იარაღად აქცია. იგი ევროპისთვის ყველაზე დიდი ენერგომომწოდებელია და ცდილობს ბრიუსელი რუსულ ენერგორესურსებზე სულ უფრო დამოკიდებული გახადოს.

კიდევ ერთი მოთამაშე, რომელიც, მართალია, თავად არ გახლავთ ენერგორესურსების მფლობელი ქვეყანა, მაგრამ ევროპის ალტერნატიული ენერგორესურსებითა და მისი ტრანსპორტირების გზებით დაინტერესებამ განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მნიშვნელობა შესძინა - თურქეთია, მსოფლიოს დამტკიცებული ნავთობრესურსების 72%-ისა და გაზის მარაგის 73%-ის სიახლოვე თურქეთს საშუალებას აძლევს, მსოფლიო ენერგორესურსების ტრანსპორტირებისა და განაწილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცეს.

დასკვნა:

არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, საარქივო დოკუმენტები, ექსპერტ-პოლიტოლოგთა და პოლიტიკოსთა შეფასებები, მათი შესწავლა და ერთმანეთთან შეპირისპირება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები, რითაც

თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ურთიერთობა XX საუკუნის 90-იან წლებში შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ანკარის კავკასიური პოლიტიკა მდგომარეობდა შემდეგში – „ნულოვანი დამაბულობა“ მეზობლებთან, რაც გამოიხატა თურქეთის მიერ, სომხეთ, საქართველო, აზერბაიჯანის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა აღიარებით. თურქეთი იმთავითვე შეეცადა რეგიონში შექმნილიყო უსაფრთხო გარემო, რაც ხელს შეუწყობდა შემდგომ პოლიტიკურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ თანამშრომლობის გაღრმავებას ზემოთხსენებულ სახელმწიფოებთან.

პირველი ნაბიჯები, რომელიც რეგიონის სტაბილურობასა და მის უსაფრთხოებას ემსახურებოდა და რომელიც ასევე წარმოადგენდა რუსეთის პოლიტიკურ მარცხს კავკასიაში, იყო კასპიის ზღვის ენერჯო რესურსები და მათი ტრანსპორტირება აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ხაზით.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული თურქეთის სტრატეგიული დამოკიდებულება კავკასიის რეგიონის მიმართ არ შეცვლილა, პირიქით, უფრო გაძლიერდა და ენერჯოდერეფნების ამოქმედებით („ბაქო-თბილის-ჯეიჰანის“ ნავთობსადენი, „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ გაზსადენი), „ბაქო-თბილისი-ყარსის“ სარკინიგზო დამაკავშირებელი ხაზის მშენებლობით, სამხედრო თანამშრომლობის დაწყებით და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხელშეკრულებებით დაგვირგვინდა. თურქეთმა XX საუკუნის მიწურულს აქტიური პოლიტიკის წყალობით მიაღწია რეგიონში მნიშვნელოვანი მოთამაშის სტატუსს და დასავლეთისთვის სტრატეგიული პარტნიორის იმიჯიც მოიპოვა.

საქართველო, როგორც დასავლური ორიენტაციის მქონე ქვეყანა თურქეთთან მჭიდრო დიპლომატიური ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებით გამოირჩევა. ანკარა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რომელმაც ბოლო 30 წლის განმავლობაში დაამტკიცა, რომ მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სტაბილურობა და უსაფრთხოება.

სამხრეთ კავკასიის ერთადერთი ქვეყანა რომელთანაც თურქეთს არ აქვს დიპლომატიური კავშირები სომხეთია. თურქეთ-სომხეთის ურთიერთობაში დღეს-

დღეობით სერიოზული პროგრესი არ არის, ქვეყნებს შორის ჯერ-ჯერობით ისევ ჩაკეტილია საზღვარი და მათ არ აქვთ დიპლომატიური ურთიერთობები.

თურქეთის რესპუბლიკისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყანას აზერბაიჯანი წარმოადგენს. კულტურულად და ენობრივად ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს ენათესავენ, რაც მათ ურთიერთობას კიდევ უფრო მეტ სიმყარეს სძენს. აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის მიმართულეა ყარაბაღის კონფლიქტზე გადის და შესაბამისად აზერბაიჯანი ნებისმიერ სახელმწიფოსთან ურთიერთობას ამ ასპექტიდან გამომდინარე ამყარებს.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი წარმოადგენს დსთ-ს წევრ ქვეყანას და კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს რუსეთის ფედერაციასთან, არსებულ რეალობაში რუსეთის გავლენის სფეროდან გამოყვანაში მისთვის მთავარ პარტნიორად მაინც თურქეთი მოიაზრება.

ამრიგად, არამარტო რეგიონისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის იქნება მნიშვნელოვანი დღევანდელ გეოპოლიტიკურ არეალში თურქეთის საბოლოო ადგილის დადგენა. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთმა არ გადადგა სერიოზული გეოპოლიტიკური ნაბიჯები ევრაზიულობისკენ, რაც დამღუპველი იქნება თურქეთის დემოკრატიული პოლიტიკისა და ღირებულებებისათვის, ისე თვითონ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის. თუ ანკარამ თავისი ძველი გეოპოლიტიკური კურსი და მოკავშირეები შეინარჩუნა, მაშინ ეს იქნება უკვე აბსოლუტურად ახალი შესაძლებლობებისა და პერსპექტიული ინიციატივების ხანა, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის, ისე რეგიონის ისეთი პატარა ქვეყნებისათვის, როგორც სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანია.

ნაშრომის ძირითადი დებულებების მიხედვით გამოქვეყნებული სტატიები:

1. ზ. ბერიძე, ენერგო სატრანზიტო დერეფანი და მისი გავლენა თურქეთსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლისადმი მიძღვნილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა II სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2017, ISBN 978-9941-462-47-4. p. 224-228;

2. ზ. ბერიძე, თურქეთ-აზერბაიჯანის სტრატეგიული ურთიერთობები და საქართველო, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე I, თბილისი, 2018, ISSN 2587-490X გვ. 97-108;
3. ზ. ბერიძე, თურქეთის არმია რესპუბლიკის სადარაჯოზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა III სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი 2018, ISBN 978-9941-462-79-5 გვ. 136-139;
4. ზ. ბერიძე, მთიანი ყარაბაღის პრობლემა, როგორც თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის განმსაზღვრელი ფაქტორი, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე II, თბილისი, 2019, ISSN 2587-490X; ISBN 978-9941-0-4439-7 გვ. 66-73;
5. ზ. ბერიძე, „კავკასიური სამკუთხედი თურქეთი, საქართველო აზერბაიჯანი“, ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-III, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კონფერენციები:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლისადმი მიძღვნილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა II სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი 30.05.2015);
2. ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-III, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი (30.11.2018-2.12.2018).
3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა III სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი, (25.07. 2017).

Batumi Shota Rustaveli State University

Faculty of Humanities

Department of History, Archeology and Ethnology

With the right of manuscript

Zaza Beridze

Relations between Turkey and the South Caucasus

in the 90s of the XX century

Specialty: History

A n n o t a t i o n

submitted to obtain the degree of Doctor of History

Batumi

2020

The dissertation paper is performed in the Department of History, Archeology and Ethnology of the Faculty of Humanities of Batumi Shota Rustaveli State University.

Academic Supervisor

Emzar Makaradze
Batumi Shota Rustaveli State University
Professor.

Foreign Reviewer

Shahin mustafayev
Doctor of history , Professor, institute of
Oriental Studies, Azerbaijan National
Academy of Sciences.

Reviewers

Sulkhan Kuprashvili
Doctor of history, Professor,
Kutaisi Akaki Tsereteli State University; **Otar**
gogolishvili
Doctor of history, Assoc. Professor
Batumi Shota Rustaveli State University;

Madona Gogitidze
Doctor of history, Academic Doctor Batumi
State University

The defense of the dissertation will take place on 24.12.2020 at 13:00 p.m. at the meeting of the Dissertation Board of the Faculty of Humanities at Batumi State University.
Address: 35 Ninoshvili Street, 2nd floor, room: 32

The Dissertation is available at BSU Iliia Chavchavadze library and BSU website (www.bsu.edu.ge)

Secretary of the Dissertation Board

Doctor of Philology, Associate Professor

N. Phartenadze

Introduction

The actuality of the topic: Studying Turkey's foreign policy is the most actual issue in the recent history of Georgia and the South Caucasus. Especially at a time, when the end of the Cold War has spawned new developments in the world, and first of all, the replacement process of the countries united in various military-political unions, the formation of new sovereign states, which once again changed the political world map; There were occurred new problems, new approaches and consequently, the objective necessity of newly presenting and observing many earlier problems.

The current situation in the region is increasing the actuality of the topic (The Karabakh problem, the problem of Abkhazia and so-called South Ossetia, the tensions between Armenia and Turkey, the Russian factor in the Caucasus, etc.). Against this backdrop, the political course and the attitude towards the South Caucasus region of Turkey are important, which was one of the first one to recognize the independence of the countries of the South Caucasus in the 90s of the XX century; How Turkey is trying to take the leading role in this region, which is expressed in economic, cultural, political or religious relations.

The doctoral dissertation covers one of the most actual issues of Turkish history in the 90s of the XX century - "Relations between Turkey and the South Caucasus countries in the 90s of the XX century".

Georgian Orientalists have devoted a great deal of scientific research to this issue, which discusses Turkey's relations with Armenia, Azerbaijan and Georgia separately. The study of Turkey's relations with the South Caucasus countries in a unified context is not presented, which would discuss "Turkey's political relations with the South Caucasus countries in the 90s of the XX century" in its entirety. Their collaborative study will allow us to generalize the problem and make more comprehensive and exhaustive conclusions.

In the dissertation, we will discuss both the political relations between Turkey and the South Caucasus countries in the 90s of the XX century, as well as the South Caucasus, as a Eurasian transport corridor and we will evaluate Turkey's political role in its development and security, which is less studied in Georgian historiography. The research will add more clarity to the study of the issue.

In this dissertation, we will try to study in depth the political reality that existed between Turkey and the newly created South Caucasus countries at that time. In addition, Turkey-Georgia relations and Georgia's role in Turkey's South Caucasus policy will be discussed in depth.

Research goals and objectives: The purpose of this work is to define and analyze the basic principles and directions of Turkey's South Caucasus policy. According to the requirements of modern historical science, explain the relations between Turkey and the South Caucasus in the 90s of the XX century on the basis of objective analysis and coherence of historical materials and sources that have been unknown to date.

The above mentioned period is important in the relations between Turkey and the South Caucasus countries. Since the collapse of the Soviet Union, one of the key directions of the Turkish Republic has been to gain a leading role in the South Caucasus region and to increase its influence. Accordingly, our aim is to discuss the problems of political relations between Turkey and the South Caucasus countries, to study the measures taken and the existing challenges.

Before addressing these issues, let us partly overview some political processes that have accelerated the emergence of political cooperation between Turkey and the South Caucasus:

We discussed Turkey's strategic goals in the Caucasus and its striving for regional leadership;

Based on historical facts we have determined the geopolitical environment of the South Caucasus and the place and role of the regional states in that environment;

Considering the facts and realities of the 90s of the 20th century, we discussed the characteristics of the geopolitics of the South Caucasus and the interactions of the world geopolitical players and the regional leaders in the regional context;

By discussing and analyzing the South Caucasus political vectors of the Republic of Turkey, we have identified the expected threats and challenges that Ankara may face in dealing with the South Caucasus countries; and finally, we have defined Georgia's role and purpose in the foreign policy vector of the Republic of Turkey.

The object of the research is the political, cultural and economic vector of relations between Turkey and the South Caucasus countries.

The subject of the study is the geopolitical vectors of the Turkish Republic in the 90s of the XX century and the role of the foreign policy direction of the South Caucasus in this political environment.

Research Methods: : The dissertation deals with Turkey's relations with the South Caucasus countries in the 1990s and the increasing influence of Turkey in political, economic, cultural and religious spheres. This is so broad and at the same time a complex issue that undoubtedly requires serious research via several scientific disciplines such as: Political Science, Conflictology, International Relations, History, Sociology, International Law, etc. The paper is based on mixed (both qualitative and quantitative) research methods: except the literature analysis, the predictive methods of statistical, comparative and historical analysis of research are used. An analysis of the peculiarities of international relations, assessing their impact on the stability of the South Caucasus allows us to define the logic of transformational processes in three republics (Azerbaijan, Armenia, Georgia) with regard to Turkey; we made some comparisons throughout the whole region and used a comparative analysis method.

Scientific novelty and practical significance: "Relations between Turkey and the South Caucasus countries in the 90s of the XX century" have been thoroughly studied and analyzed by us. We did a comparative analysis of the South Caucasus countries in terms of relations with Turkey, one of the leading countries in the region.

The scientific novelty of this work is as follows:

1. Turkey's foreign policy vector with the newly emerged republics of the South Caucasus has been studied and analyzed in a complex manner;
2. A complex analysis of Turkey's South Caucasus political vector has been provided with Critical geopolitical reasoning, which makes it possible to predict near and medium-term prospects for Turkish foreign policy;
3. The hierarchy of Turkey's major geopolitical orientations has been identified and it was revealed that the South Caucasus takes an important place in Turkey's foreign policy;

4. It was determined that the South Caucasus has acquired a key importance in achieving the geopolitical objective of the Republic of Turkey, to control the energy resources in Central Asia.

Practical value of the research results is important as well, which will help historians, Orientalists and other scholars who are interested in the subject.

Chronological Framework of the Work: The chronological framework of the work is quite broad. Historical chronology is mainly used to describe the relations between Turkey and the South Caucasus countries, which enables us to better understand the links and challenges between states. To better understand Turkey's foreign policy, the South Caucasus direction, the history of the Ottoman and South Caucasus countries is also briefly reviewed. The chronology of relations between Turkey and the South Caucasus mainly covers the political, cultural and economic steps taken by Turkey in the period 1990-2000 towards Georgia, Azerbaijan and Armenia.

Approval of thesis: Dissertation is performed by the Department of History, Archeology and Ethnology of Batumi Shota Rustaveli State University, where it was discussed – the probation was on 19 July 2019 (Protocol No. 10). The author of the qualification thesis was recommended for obtaining an academic degree.

The separate sections of the work are published in scientific journals and proceedings, read at international conferences.

Structure and content of the dissertation: The thesis is scientifically valuable. It covers one of the most pressing issues of Turkish history in the 1990s - the relations between Turkey and the South Caucasus countries in the 90s of the XX century.

In addition to the introductory and concluding sections, the work consists of six chapters, twelve subsections and a bibliography. In total, it includes about 140 pages. The study has used up to 20 sources and up to 70 scientific (20 websites) papers.

Contents of the work

Chapter I. A brief historical overview of relations between Turkey and the South Caucasus

The first chapter, which consists of one paragraph, discusses events, a kind of background history, describing how the Ottoman and Persian had been attempting to gain control over the South Caucasus region since the 16th century. Russia has joined the struggle for the region since the beginning of the eighteenth century, which soon gained transitional advantage and its success in the Caucasus region became apparent.

By the end of the 19th century, Russia was able to weaken its rivals in the region and later defeat them. The Russo-Turkish War of 1877-1878 was the latest clash in which Russia gained complete hegemony in the region. In 1878, Russia finally established positions in the Balkans and Caucasus by the San Stefano Treaty.

Following the collapse of the Soviet Union in the late 1990s, the formation of new states in the region enabled Turkey to expand its spheres of influence, especially, against that backdrop, most of the newly created states in the Caucasus and Central Asia were perceived as a related nation of Turkey.

Chapter II. South Caucasus, Turkey and bipolar world

The second chapter discusses Turkey's relations with the South Caucasus countries and the factors of Russia, Iran and Europe and their attitude towards Turkey's South Caucasus policy.

2.1 Turkey and the South Caucasus in the Prism of European Relations

Since the collapse of the Soviet Union, one of the main goals of the Turkish Republic has been to gain a leading role in the South Caucasus and to increase its influence.

By the end of the Cold War, Turkey was coping well with the task of the North Atlantic Alliance towards the USSR. During the conflict, with US assistance, Turkey successfully performed restraining springboard function and no wonder that Turkey and its Western strategists, with recognition of the sovereignty of the South Caucasus and Central Asian countries, practically expanded their geopolitical sphere of influence, when Russia's influence had been greatly reduced as in the South Caucasus and Central Asia, as in Balkans geopolitical space. In the initial phase, in 1991-1994, official Ankara did its best in terms of creation the most favorable conditions for the development of bilateral and multilateral cooperation with the South Caucasian states. Once independence of Georgia, Azerbaijan and Armenia had been recognized, Turkey established diplomatic relations with them and opened official representations in these countries. Following these steps, the Turkish government has put forward many initiatives aimed at regional integration and co-operation, the most prominent of these was the idea of Turkish President Turgut Ozal (1989-1993) for the establishment of the "Black Sea Economic Cooperation" (BSEC).

Following the creation of this organization, another important event was the idea of the new Turkish President Süleyman Demirel (1993-2000) to create a "Caucasus Stability Pact" to ensure regional security.

A further initiative by the Turkish government, supported by the West, was the establishment of the Turkish Cooperation and Coordination Agency (TIKA) in the South Caucasus, Central Asia and the Balkans, through which Turkey has actually paved the way for its businessmen and other private sector representatives to make small and large investments in the post-Soviet space.

Nevertheless, it cannot be underestimated that in 1991-1994 Turkey was practically left alone in this region, abandoned by its traditional allies, the US and Europe, which at that time did not actually have a clearly defined South Caucasus policy, that made it more difficult to fully accomplish the goals and objectives that had been set. This has prompted reactivation of the Russian Federation in the region as the successor of the Soviet Union, and the remarkable result of it was the creation of the Commonwealth of Independent States (CIS).

The West and the US opposed Russia's action with the project "Partnership for Peace", its purpose was to withdraw the above-mentioned region from the full influence of Russia.

However, the emerging conflicts in the region (Samachablo, Abkhazia, and Nagorno-Karabakh) and the representation of the South Caucasus region as a completely dangerous hub slowed down the withdrawal of the newly emerged states from Russia's influence. As a result, modern Europe has faced, primarily the need for conflict resolution. Turkey, however, has sought to use the West's support in its interests, to strengthen its influence in the region; this in turn meant for the newly emerged South Caucasus countries to escape from Russia's influence.

2.2. Turkey's Geostrategic Goals in the Transcaucasia and The Russian factor

After the end of the Cold War, Turkish-Russian relations turned into a new environment, this led to a radical revision of Ankara's foreign policy. The struggle for hegemony in the region began. After the disintegration of the Soviet Union in 1991, many unresolved conflicts in the region emerged, mainly in Georgia, Armenia and Azerbaijan (Abkhazia, Samachablo and Nagorno-Karabakh).

Turkey-Russia relations must be considered in the context of the relations of these countries and the existing conflicts, because both states are skillfully using the conflicts between Georgia, Armenia and Azerbaijan to strengthen their positions.

Turkey and Russia found themselves in the conflicts in different unions. However, Turkey has avoided an apparent confrontation with Moscow over strategic and economic factors. As a result, Ankara was forced to pursue a delicate policy with Moscow, to maintain balance towards the Muslim and predominantly Turkic peoples of the Caucasus and Central Asia, and at the same time, to stop the return of Russia's political monopoly to the region.

In spite of the fact that from an economic or military point of view, the Russian Federation, the legal successor of the Soviet Union, was a much weaker state rather than its predecessor, it maintained Russia's importance, as it continued to be an accountable force, especially towards the states existing in the region.

The first regional organization - BSEC - Black Sea Economic Cooperation should also be mentioned in the Russian-Turkish relations, founded by Turkey and it included Turkey, Russia, Georgia, Armenia and Azerbaijan. However, due to the differing positions of the member

states, the organization has not been able to develop effectively not only in political but also in economic terms.

Initially, the establishment of the CIS prevented Turkey from establishing strategic military ties with the countries of the region. On May 15, 1992, the CIS Collective Security Treaty was signed in Tashkent, by virtue of which, the participating states pledged their mutual assistance.

Under the existing agreement, Russia was allowed to deploy troops first to Armenia (1993) and later to Georgia (1994). In fact, Turkey and Russia were still militarily close.

By the end of the 20th century, Russian – Turkish relations were significantly influenced by the Karabakh conflict. That revealed the differences of interests of Turkey and Russia towards the countries of the South Caucasus region. The Karabakh conflict and Russia's active role in it showed that the Soviet legal successor would not allow other states to be involved in the ongoing processes in the South Caucasus region, which has become a prerequisite that Turkey has refrained from active support for Azerbaijan.

Apart from the conflict between Azerbaijan and Karabakh, Georgia has also played an important role in Russian-Turkish relations since 1993, one of the primary reasons for Georgia's rapprochement with Turkey has become the Abkhaz conflict and Russia's position in dealing with this conflict.

One of the most important sources of political conflict between Turkey and Russia should also be considered energy sources and the control over their sale, which involved the international exploitation of Caspian basin oil and gas resources.

Russia's main goal was to control over the realization of energy resources in the Caspian basin, Turkey, meanwhile, had been trying to divert energy to its own country and play a role in the Caucasus' energy security.

Projects launched and implemented in the second half of the 90's - (Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline, Baku-Tbilisi Erzurum gas pipeline), the liberation of the region's countries from Russia's energy monopoly was, to some extent, a reduction of Russia's influence on the region, and in this respect, Turkey achieved a small but one more victory.

By the end of the 20th century, it became apparent that two distinct regional powers in the South Caucasus, Russia, as the legal successor of the Soviet Union, and Turkey, as a new power with the active support of the West, tried to make the most of their political, economic, cultural and even military resources (e.g. Russian military intervention against Georgia) to gain hegemony in the region.

2.3. Matching interests of Turkey and Iran in the Caucasus

Iran and Turkey are actively fighting to strengthen influence in the Caucasus region and in this struggle, Russia appears to be an obvious ally of Iran in certain geopolitical issues.

With the collapse of the Soviet Union, the interests of Turkey and Iran in the region did not coincide; the main reason for this was that Turkey's rise in political and economic interests in the South Caucasus region was supported by Western Europe and the United States. Consequently, the active engagement of the United States and the European Union in the regional processes in the Caucasus with the side of Turkey, has led Tehran to see a common language with Russia.

Consequently, the weakening of Tehran's interests in the Caucasus was partly due to its association with Russia, for it is not in Moscow's interest to increase Tehran's influence in the South Caucasus in any way.

